

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გივის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მღწერა მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროга“.

ბაზმის ფასი: მთელის ფლი-სა—8 მან., ნახევარ ფლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

სოციალური დროის გაზეტი

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ც-ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უშლება აქვს გაას-წოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურლი, 31 მარტს. ღღეს, სალა-მოს 7 საათზე პეტერბურლის ოლქის სა-სამართლოში გაათავა საქმის განხილვა მერა ზასულიჩისა, რომელსაც აბრალებ-დნენ პეტერბურლის მთავარ-პოლიცი მ-ისტერის (გრადონაჩილნიკის) ტრეპოვის მოკვლის განზრახვას. სასამართლომ გა-მართლა მერა ზასულიჩი. სასამართლო-ში მყოფმა საზოგადოებამ და აგრეთვე დიდ-ძალმა ხალხმა, რომელიც სასამარ-თლოს წინ ქუჩაში იყო მოგროვილი, დიდის ალტაცებით და სიამოვნების გამოცხადებით მიიღო ეს განჩინება. მერა ზასულიჩი იმ წამსვე გაათავისუფ-ლეს.

პეტერბურლის ბირჟა, 1 აპრილს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

	მან.	კაპ.
ლონდონი	23	50
პეტერბურლი	—	—
პარიზი	200	—
პარიზი	245	—
შინაგანი სესხის ბილეთები 5%:		
პირველი სესხის	227	50
მეორე სესხის	223	—
ბანკის ბილეთები:		
პირველი გამოცემის	96	12
მეორე	96	—
მესამე	95	—
მეოთხე	94	12
აღმოსავლეთის	93	25
ოქრო, 1/2 იმპერიალი	—	—

## საქართველო

ღიშობი

\* \* \* რუსული გაზეთები გვაცნობებენ, რომ უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს, რომ ამ მოკლე ხანში თფილის-სილამ ბაქომდინ რკინის გზის გაყვანას შეუდგეს. ხსენებული გაზეთების სიტყ-ვეთ, ამ გზას საჯარო მნიშვნელობას გარდა, ამჟამად სტრატეგიული (სამხედ-რო) მნიშვნელობაც აქვს.

\* \* \* ხელოინდელს, 3 აპრილს, სხდო-მაში ჩვენი ქალაქის რჩევას, სხვათა შო-რის, შემდეგ უფრო საყურადღებო საგ-ნებზე ექნება სჯა: მოხსენება ბამგეობი-სა ხმოვანის ქლიმიზოვის წინადადება-ზედ, რომ ქალაქის სამმართველოსათვის დანიშნული გასავალი შევამციროთო; მოხსენება ბამგეობისა სასაფლაოების გადატანაზედ ქალაქის წრეს გარეთ; წი-ნადადება ხმოვანის პოლიციისა ქალა-ქის ადვოკატის შესახებ; მოხსენება რე-ვიზიის კომისიისა ქალაქის 1876 წლის შემოხვევალ-გასავლის ანგარიშზედ და სხვ.

\* \* \* მრთს პეტერბურლელ მღვდელს ისაკიევის სობორში უქადაგანია ისეთს საგანზე, რომელიც ძალიან დაახლოებით შეეხება როგორც მთელ რუსეთის ხალხს, აგრეთვე უფრო ძველსადაც. თავის ქადა-გების საგნად ხსენებულ მღვდელს ის აუღია, რომ მთელი რუსეთის მდაბიო ხალხი ამჟამად ძალიან გაჭირებულ მდგო-მარეობაში არისო თუ გარეშე მტერთან ბრძოლის გამოისათ და თუ იმ საში-ნელი ავთიმყოფობისაგან, რომელიც ამ ომში თან მოიტანაო. აპი კომ ყოველი კაცი, თავის შეძლებისა-და-გვარად მო-ვალე არისო, რომ რითაც მოახერხებს, დაეხმაროს შეუძლოთ, ღარიბებს და ამ საზოგადო გაჭირების დღეს მაინც ხელი მოუშართოს თავის მოძმეებსაო.

რუსული გაზეთები, რომელთაც ეს ქადაგება მოჰყავთ, ურჩევენ სხვა ქალა-ქების მღვდლებსაც, რომ იმათაც ამ საგანზე ხშირად უქადაგონ თავიანთ მრევლს და აწინადად კაცთ-მოყვარებითი გრძნობა აუგზან იმათ გულში.

\* \* \* თფილისის ბანცხადებანი“ შემ-დეგ ამბავს გვაცნობებენ: შოთი-თფი-ლისის რკინის გზაზე მოსამსახურე კონ-დუქტორი, რაჭველი ბიორგი ბორდენაი-ნი ერთი ვაგონიდან მეორეზე გადაო-დაო, ამ დროს დაუცდა ფეხი, რელსებზე დაეცა და ვაგონებმა მხრებზე გადაუარაო. ქონდუქტორი იქვე მოკვდა და მკვდარ-თფილისში ჩამოიყვანეს და ქალაქის სა-ვათმყოფოში გაგზავნესო.

\* \* \* ამ ღღებში უფ. მ. ხელაძის სტა-მბაში დაიბეჭდა ერთი პატარა ქართული წიგნი, სახელად, იმერლები თფილისში, უფ. მ. წყალტუბელისა (იოსელიანისა). წიგნი გადმობეჭდილია „მნათობიდან“. ავტორი ავციწერს ცუდ მდგომარეო-ბას იმერეთის მეურნეობისას, იქაურ ხა-ლხის სიღარიბეს და ამით ხსნის იმ გარე-მობებს, რომ თფილისში ასე ბევრი ჩა-

მოდიან იმერლებიო. აშობს, რომ ეს იმე-რლები ხშირად ფუჭლებიან, ირყენებიან, რადგან ლაქიობისა და მზარეულობის მეტს სხვა რაჟე ხელობას ხელს არა ჰკი-დებენო. ამის გამო ავტორი ურჩევს თფი-ლისელ- იმერლებს, რომ სხვა-და-სხვა ხელობის შესწავლას დაადგენ და ამა-სთანვე შეადგინონ თფილისში კანტო-რა, რომელსაც შეეძლოს ყურის გდება იმ ახალ-ჩამოსულ იმერლებისა, რომ-ელნიც ლუქმა-პურის საშოვნელად მო-დიან აქ და აგრეთვე იმათი, ვინც უა-ღვილოთ რჩებიან.

\* \* \* ჩვენგანხეთ ამ ღღებში ერთი ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნი ჩვენი მე-თორმეტე საუკუნის საქართველოს ფი-ლოსოფოსის იოანესი, „პეტრიწთ“ წოდე-ბულისა. პეტრიწემ საბერძნეთში მიიღო განათლება 1113 წელსა და მოვიდა სა-ქართველოში.

ის წიგნი ან „იოსებ შოაგოსი“ უნდა იყოს და ან „ნემესიოსი“, რომ-ელნიც პეტრიწემ სთარგმნა სხვათა მრავალთა ფილოსოფიურ თხზულებათა გარდა. მოგვხსენებათ, რომ ამავე პეტრიწემ შეადგინა პირველი ქართული გრამატიკა. საქართველოს მეისტორიები ამ იოანეს „ფილოსოფოსების მამა“ უწოდებენ.

\* \* \* ბუშინწინ „ამერიკის“ სასტუმ-როში ერთმა დოქტორმა თავი მოიწლა. აშობენ, რომ ეს დოქტორი გასულ ოთხშაბათს, 29 მარტს ჩამოსულა ბო-რიდამ ქალაქში და დაუტყრია ეროი პა-ტარა ოთახი ხსენებულს სასტუმროში. მეორე დღეს, ხუთშაბათს, მოსაჰსა-ხურეებისთვის უთქვამ, დალაღული ვა-ღვიძინებ წუ გამაღვიძებთო. მართლაც კარები ჩაუკეტნია.

პარასკევს, თორმეტ საათამდინ უკ-ლიათ მოსამსახურებსა და რომ არ გამოუღვიძია, კა-ებზე მიუარაკუნებიათ რამდენმეჯერ; მაგრამ ხმა არ ამოუღია; შემდეგ პოლიციისთვის უცნობებია ი მისულან, გაუღიათ კარებ და უნახავთ; რომ მდივანზე იყო წაწოლილი, პირი-დამ სისხლი ამოსდიოდა, ძირს პოლზე, სისხლის ღვარი იდგა, მაჯვენა ხელში რევოლვერი ეჭირა. თფითონ სრულებით გაშეშებული და გაციებული იყო, ასე რომ ეტყობოდა ათი და იქნება მეტი საათის წინათ მოუკლამს თავი.

ტყვია პირში აქვს მოხვედრილი და უკან კეფაში გავარდნილი. მიცვალებულს უნახეს ჯიბეში: ოქროს

საათი, 25 მან. ფული და პატარა საწერი რვეული, რომელზედაც შემდეგი სიტყვები ეწერა რუსულად:

„მშვიდობით, ჩემო საყვარელო შეილებო. მწუხვარ, რომ უკანასკნელად ვერ გადაგოცნით... მოგა პავლოვნას ნურას დააბრალებთ; ყველაფერში მე ვარ დამნაშავე... ზახარე საძაგელო...“

ამას გარდა იქვე სტოლზე ეგდო პატარა ქაღალდი, რომელზედაც ეწერა რომ „ეს ამბავი იოსებ ალექსანდრეს ძეს შადინოვს შეატყობინეთ.“

ამ ეჭიმის გვარი, არის შტოლცენბუგ. 25-30. წლის კაცსა ჰვა ს...

\* \* ჩვენ გვხზოვენ შემდეგ შენიშნვას მივცეთ ადგილი გაზეთში:

„1876 წელს, დეკემბრის თვეში, სოხუმის საშვიდრო მაზრის უფროსის გამოცხადების ძალით, მოსალოდინებელი ომიანობის შიშისა გამო, გადოდნენ სოხუმის მცხოვრებლები უშიშარ ადგილებში.“

„ამ დროს მე ჩემდამი რწმუნებულის სოხუმის სასაფლავს წმინდა ბიორგის ეკლესიის საეკლესიო სამკაულები, აუხაზეთისა და საპურხაყანის ეკლესიების უფროსის ბოლოჩინის მაჭავარაძის ბრძანებით, წამოვიღე ყოველივე, სიით აღწერილი ჩემის საკუთარს ხარჯით და დიდს ჰწვალებით, რომელიც იმ შევიწროებულს მოგზაურობაში მივიღე. მა ზემოხსენებული ეკლესიის სამკაულები მაქვს ამ ჟამად დაკრული უკლებლად სამეგრელოში ჩემს მხედველობის ქვეშე, სოფელა ხეთაში.“

მღვდელი სხაზია.

„დროების“ კორესპონდენცია

ქუთაისი, 30 მარტს. ბევრი საკვირველი რამ არის ქვეყანაზე, მაგრამ სიყვარულის ძალისთანა საკვირველი ეგონებ არა უნდა იყოს-რა! სიყვარული კაცს კიდევ აცოცხლებს და კიდევ მოჰკლავს.

ფელტონი

სამართველოს მე-XVI საუკუნის მუშაების თარხანი

(ზაფხული ამბები)

ეს ამბები შეეკრიბე თარხან აპილახვარზე. ღვთისმშობელს ეს ცნობები ჩვენს ხალხში და ზეპირათ დახსობებიათ.

მეთექვსმეტე საუკუნის იმიტომ მიეწერ ამ თარხანს, რომ ხალხის ზეპირგადმოცემით სხვა ცნობები მეთექვსმეტე საუკუნის ეკუთვნის და საქართველოს ისტორიაც მოგვიხსრობს, რომ შაჰ-აბაზი საქართველოს მეთექვსმეტე საუკუნეში დაეცა. აი რას იძახის ხალხი:

როდესაც შაჰ-აბაზი საქართველოს დაეცა და განსაკუთრებით ძანეთი ააოხრა, მაშინ მან საქართველოდამ ასიათასი ქართველი წაასხა და ყველა ესენი

სიყვარული არის უკვდავების წყარო კაცობრიობის არსებობისათვის და დამლუპველი ჯოჯოხეთიც. იმისი ძალა არაკებშია ცი არის გამოთქმული...

ზოგიერთი ადამიანის ბუნება ისეთი ყოფილა, რომ ერთხელ, თუ აინთო სიყვარული იმის გულში, იმის დაქრობა შეუძლებელია.

აი სწორედ ამ გვარი ახირებული სიყვარული ანთებია გულში ამჟამად ერთის მშვენიერის ქალისა ერთს მზურგეთში მსახურს კაცსა. რადგან ქალი უფარხედა სდგას ამ სიყვარულზე, ამისათვის იმას ფულადოთ შეარხათუნხანი, ვაჭბატონს ტუსია, რადგან იწვის მისი გული სიყვარულითა.

მართლაც შესანიშნავია ამ ტუსიას სიყვარული და შეარხათუნხანის უსიყვარულობა მისდამი: ტუსიას ძლიერ მოსწონებია გაბადრულ მთვარესავით გადაშლილი სახე. შეარხათუნხანისა, იადონისავით მოჭკჭკე მისი ენა, სიცილი სავეს ქალურის უმანკობითა, და ამისათვის უზომოდ შეუყვარებია.

„არა, არ შეიძლება, ეუბნება ტუსია შეარხათუნხანს, თუ რომ ჩემი და შენი გული ერთმანეთს არ ეამბორენო!“ ტუსიას სულით და გულით სწადიან, რომ ხელი სტაცოს იადონსა და დაიმწყვდიოს სიყვარულის გალიაში; მაგრამ იადონი შორსა სდგას; როგორათაც რომ კაცი თავის ჩრდილს გამოეკიდოს და ვერ დაიჭიროს, სწორეთ ასრეა ტუსიას საქმეცა.

როგორ შეიძლება, რომ მე შენ შეგეყვაროვო, ეუბნება ტუსიას შეარხათუნხანი: მე მყავს ქმარი და მისთვის ეკლესიაში პირობა მიმიცია, რომ ვიქნები სიკვდილამდე მისი ერთგული და ის კიდე იქნება ჩემი გულის იმედით; ახლა თუმცა მე ახალგაზდა ვარ და ქმარი კი მოხუცია\*); მაგრამ მე მაინც არ

\*) ხათუნხანი ცხარა წლისა ყოფილა, როცა ჯვარი დაუწერია; ქმარი კი მაშინ ყოფილა ოცდაათი წლისა; მაგრამ ქმარს წაუყვანია, როცა ის ცამეტი წლისა შესრულებულა.

გადაასხლა სპარსეთში. ამათ რიცხვში ერთი ძანეთის მეფე ალექსანდრეს მოხუცებული თარხანია.

სპარსეთში რომ ჩაიყვანეს ქართველები, ზოგი სად დასახლეს და ზოგი სადაო; მხოლოდ, რადგანაც თარხანი გამოჩენილი და ცნობილი კაცი იყო როგორც საქართველოს ხალხის წინაშე, აგრეთვე სპარსეთის ხალხისა და შაჰ-აბაზთანაც, ამის გამო მას მისცეს სადგამო ადგილი ქალაქ შირაქსა, შაჰ-აბაზის სამეფო სასახლის ახლოსაო, და იქა სცხოვრებდაო.

როგორც მოყვარე თავის სამშობლოსი და ქართველი ხალხისა, თარხანი ბევრსა სცდილა სპარსეთში წაყვანილი ქართველების დასახნელოთაო. მაგრამ დიდხანს ვერა გაუწყვირა-რა; მხოლოდ შემდეგ კი ათასი ქართველი და თავის თავიც დაუხსნია და წამოხულან საქართველოში. მათი თავის დახსნისა და

შემშვენის დალატი ქვეყნიდან კაცობრიობისა, ვერ ვიკადრებ, ვინაიქ ქვეყნის დასხმას, არ ყოფილა ჩემს გვარში ამნაირი მაგალითი და ვერც მე გავკიცხავ ჩემს გვარს ჩემის ყოფაქცევით... ღამენსენ, შენი ჭრიმე, შენ შენთვის, მე ჩემთვის. ზანა ჩემს მეტი ქალი გამქრალა ქვეყანაზე?..

— არა, არ იქნება, შეარხათუნხანი! მე შენ მიყვარხარ სიკვდილამდე! — მულმტკივნეულად შევლადადებს ტუსია. შენს გარეშე ჩემი სიცოცხლე მკვდარია, შხამშია ამოვლებული, მოღრუბლული და ჩამობნელებულია, როგორათაც რომ ბნელი ღამე. მე ვიქნები ისრე, ვიდრე შენი მოხუცებული ქმარი ცოცხალია. ახლა მხოლოდ მე იძასა გოხვო, რომ გიყვარდე ისრე, როგორც მე მიყვარხარ; ნუ ხარ ეგრეთი ჯიუტი და შეუბრალებელი; მე მსურს მუდამ შენს მახლობლად ვიყო და გიცქირო; მხოლოდ მაშინ მიდგა მე სული; მხოლოდ მაშინ არის გული ჩემი ბედნიერი, როცა მე შენ შემოგცქერი, როგორც რომ მსუნავი კატა ძეხვსა...

რალა ბევრი თავი მოგაწყინოთ: ეს ტუსია სდევს შეარხათუნხანს, რომლის დაწვნი სუნელოვანნი ყვავილნი ჰგონია, ლაპარაკი ბუღბუღოთ ყეფა და მერცხალთ ჭკჭკიკი, იადონთ სტვენა და შაშვთა მღერა, რომლის უკეთესს მისი თვალი ვერასა ჰხედავს ქვეყანაზე და ვერც ყური ისმენს იმის ჭკჭკიკის უამესსა.


ძალიან გამწარებულია, როცა ხედავს საზოგადოებაში, რომ იმას ხვანი ელაპარაკებია და ვალერსებია და ის კიდე არ ერიდება იმათთან მუთაიფს მაშინ, როცა მისი ტუსია იქ არის და გაღვივებულს პირის-სახეში გამოსჭვირავს სიყვარული მისდამი. ამ გვარს შემთხვევას არა-ერთხელ მიუყენებია ამ პატიოსან ქალისათვის შეურაცხყოფა. საცა კი ეს ქალი საზოგადოებაში გამოჩნდება, იქვე დაიბადება ტუსიაცა. აქ ტუსია მას თვალს არ ამორებს, ჰპატრონობს და ვაი იმ

მოსვლის ამბავი საქართველოს ხალხში ზღაპარივით არის დარჩენილი. აი რას ამბობენ ამაზე ხალხში:

შაჰ-აბაზი ისეთი ცუდი კაცი იყოო, რომ რასაც იტყოდა და აიტუნდა, უეჭველად უნდა ასრულებულიყო კიდევცა, თუნდა მთელი ქალიაქი დაქცეულიყო. ერთხელ აუტეგნიაო, რომ ერთი ისეთი კაცი მიპოვნეთო, რომელსაც შეეძლოს ჩემი დაფასებაო, რომ ჩემმა ქვეყანამ იცოდეს—მე რა ვღირვარ ან ჩემთვის და ან თქვენთვისო.

ამაზე მთელი სამეფო და ხალხი ძალიან შეწუხებულან თურმე და დაუწყებენ მთელს სპარსეთში ამისთანა კაცის ძებნას, მაგრამ არაიენ გამოჩნდება მისი დამფასებელი.

ბოლოს საქმე იქამდის მიადწევს, რომ საქართველოს თარხანთან წავლენ შაჰ-აბაზის კაცები და ეტყვიან: შაჰმა ესე და ესე გამოგვიცხადა და



საქართველოს სახელმწიფო

კაცს, ვინც უვარხათუნხანთან ლაპარაკს და ხუმრობას გაბედავს...

ამ სახით საწყალი ქალი არის ერთ წვალღებში. მხევეწება: დამეხსენ, შენი ჭირიმეო, მაგრამ ვინ გაუგონა?

ქრთხელ ერთი კაცი თურმე ღუელშიაც კი გამოითხოვა: შენ როგორ გაბედე ჩემი უვარხათუნხანისათვის ვერცერთი ტანცაობის თხოვნაო!

მაგრამ ეს რაა. ამ გვარებს ქალი თავლად ჩაითალიდა, თუ რომ უფრო უყარეს მწუხარებას არ იელოიდეს: სადაც უნდა დაიჭიროს ამ ქალმა მზურგეთში სახლი, უსაფუოდ ისიც იმის მეზობლად გახდება, და როცა ქალს სტუმრები ეწვევიან, გამოვლენ ბალკონზე და დაიწყებენ იმასთან მუსაიფს, ტუსია მაშინვე გამოვა გარეთ და დაუძახებს:

— „მი, თქვენ, ვინა ხართ მანდ! როგორ გაბედეთ მაგასთან მოხვლა და მანდ ლაპარაკი?“

ამაზე ბევრჯელ შემდგარა ერთი აყალ-მყალი და სტუმრები თავგებივით მიმალულან თავიანთ სოროგებში.

ამ გვარ ვაი-ვაგლანით ტუსიამ თავი რომ მოაბეზრა საწყალს ქალს, რადგან ვათ-მყოფობაც დაერთვა ამ გვარს უსიამოვნებას, ქალმა იფიქრა ტრაპიზონში გაემარდები და იქ თავსაც ვიწამლებო და კიდევ ვიცხოვრებ დროებითაო, და ამასობაში იქნება გულიდგან გადამივდოსო. მაგრამ თქვენც არ მომივდეთ, ტუსიამ ის არ დაიფიქრა. უვარხათუნხანი არ მომივდესო, იფიქრა, ადგა და თვითონაც ტრაპიზონში წავიდა საცხოვრებლად და იქაც ქალს თავი მოაბეზრა.

შეწუხებული ქალი იძულებული შეიქნა ახლა ისევ მზურგეთში დაბრუნებულიყო. იქას ფეხ-და-ფეხ ტუსიაც მოჰყვა უკან, მოვიდა მზურგეთში და კიდევ დადგა მანლობლად, რომ ყოველთვის უყუროს მას და გულს ასიამოვნოს.

ამ წვალღებით როგორც იყო ქალმა

ერთი წელიწადი კიდევ იცხოვრა მზურგეთში; მაგრამ ამ ახირებულმა კიცის სიყვარულმა ის უფრო და უფრო დაასწულა. მაშინ საჩქიმოდ მთელისში წავიდა და უეცრად ხმა დავარდა მზურგეთში, რომ უვარხათუნხანი მოკვდაო. მოხუცებული ქმარი წავიდა მთელისში მიცვალებულის სამშობლოში წამოსაღებად. ამ ამბავზე ტუსია ძალიან შესწუხდა, მგლოვიარობის ნიშნად წვერიც გამოიშვა, და რომ დაამტკიცოს, რომ ის უყვარს სიკვდილის შემდეგაც, ბათუმიდამ და შობულეთიდან მოატანინა სხვა-და-სხვა ყვავილები უვარხათუნხანის საფლავზე დასარგველად. ყვავილები მოიტანეს, მაგრამ უვარხათუნხანის სიკვდილი ტუქილი გამოდგა. ტუსია გამზი არულდა, რომ მისი გულის ნუგეში ისევ ცოცხალია. მაგრამ რაღა სიცოცხლეა მისი სიცოცხლე; ტუსიას შიშით თავის სამშობლოში ვეღარ წასულა, და ამ ქამად სცხოვრებს მუთათისში, როგორც გალიაში დამწყვდეული ჩიტი. თავის პატიოსნების დასაცველად ის არის მოკლებული თავის სამშობლოს და საყვარელს მოხუცებულს ქმარს, და უცდის რომ იქნება ღმერთმა დამიხსნას ამ კაცის სიკვდილთაო. მაგრამ ტუსია სხვაფრივ ჰფიქრობს: ის ცოცხალ არ ირთავს იმ აზრით, რომ უვარხათუნხანის მოხუცებული ქმარი მუდამ ხომ ვერ იცოცხლებსო, და დღეს არის თუ ხვალ, იმას სიკვდილი ბოლოს მოუებს და მე დამითმობს ადგილსაო...

ჯ. ი.

### ოქის აზებები

#### ოქისთვის მზადება

რადგან ორივე ერთმანეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფო—ინგლისი და რუსეთი ამჟამად პესტრიას შესწერებიან და ორთავეს ჰსურსთ იმისი თავისკენ მიმხრობა, ამის გამო გრაფ იგნატიევის მე-

ნაში გაგზავნაზე ბევრს ლაპარაკობენ უცხო ქვეყნის გაზეთები.

მართი ნემეცური გაზეთი, რომელიც ამ გვარ ამბებს ნამდვილად ტყობილობს ხოლმე, ამ საგანზედ ამბობს შემდეგს:

„ზრათ იგნატიევის მინდობილი ჰქონდა დაეთმო პესტრიისათვის არათუ მარტო ბონსია და ჰერცოგოვინა, არამედ მთელი დასავლეთის ნაწილიც ბოლგარიისა. მაგიერად პესტრიას პირობა უნდა შეეკრა რუაეთთან, რომ, თუ ინგლისსა და რუსეთს შუა ბრძოლა ატყდებოდა, იმას ან რუსეთის მხარე დაეჭირა და ან არცერთს მებრძოლს არ მოხმარებოდა.

მაგრამ, როგორც ნამდვილად ვიცით, პესტრია რუსეთის წინადადებაზედ არ დათანხმდა. პესტრიას არც თვითონ ჰსურს რომელიმე მიწის შექცენა და არც ის უნდა, რომ რუსეთმა მომეტებული ძალა და გავლენა შეაძინოს სლავიანურ ქვეყნებში.

ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და კიდევაც გააკვირვა პესტრიის მმართველობა იგნატიევის სიტყვებმა, რომ ჩვენ დაგითმობთ თქვენ დასავლეთ ბოლღარიასაო და თუ მსამაღეთმა ხმა ამოიღოს, ომი გამოუცხადეთ და რუსეთი ნეიტრალიტეტს დაიჭერსო.“

ბერლინელი კორრესპონდენტი ლონდონის გაზეთის „Times“-ისა იწერება მარტის 20-ს:

„ამბობენ, რუსეთს გადაწყვეტილი აქვს, რომ თუ მეროპის სახელმწიფოებმა არ აღიარეს სან-სტეფანოში შეკრული მორიგების პირობა, მაშინ ის დაიჭერს თავის ჯარით ბოსფორის ნაპირებს და ამნაირად ინგლისთან საომრად მოემზადება; ამის გამო საფიქრებელია, რომ ინგლისი თავის მხრით ბალიზოლის ნახევარ-კუნძულს დაიჭერს.

ამბობენ, ბერმანამ გამოუცხადა ინგლისსა, რომ თუ მარტო იმასა და რუსეთს შუა იქნება ბრძოლა, მაშინ ბე-

ხომ არ იცი, რომ დაფასო ის შენაო? რასაც სთხოვ, მოგცემსო? თარხანი უპასუხებს, რომ ძალიან კარგა დავაფასებო და ამ თქმაზე სიხარულით წაიყვანენ კიდევ შაჰთან.

შაჰი რომ ნახავს, გაუკვირდება და ეტყვის თარხანს: შენ, უნდა დამაფასო მე?

— ღიახ მე დავაფასებ, თუ თქვენი ნება იქნებაო! მიუგებს თარხანი.

— აბა დამაფასე!

— ღღეს არ შემიძლიან, და ხვალ დავაფასებ. მაგრამ მე რაღას მაჩუქებ სამაგიეროს.

— რაც გინდა, მთხოვე.

— მაშ ათასი კაცი ქართველი მაჩუქე, რომ საქართველოში დაებრუნდეთ.

პარგო ეტყვის შაჰი. თარხანი ერთ თუმანსაც ითხოვს, მისცემენ და წავა.

იმ თუმნით ერთ მეკუბოვს კუბოს შეუკვეთავს მეორე დღისთვის. მეორე დღეს თარხანი აპკიდებს მუშას კუბოსა და წააღებინებს შაჰის სასახლეში. შაჰს

მოახსენებენ, რომ თარხანი მოვიდაო; ის მაშინათვე გამოვა თარხანთან და ეტყვის: მოხველი! მაშ დამაფასეო?

პარგო, ეტყვის თარხანი და ამ თქმაზე მთელი სპარსეთის წარჩინებულნი პირნი იქ შეგროვდებიან. მაშინ თურმე თარხანი მეორე ოთახიდან შეატანინებს იმ კუბოს შაჰთან და ეტყვის ხალხის წინაშე:

— აი თქვენი ფასი ეს არის!

შოველნი გაჩუმდებიან.

— ღიდებულო მეფევე, განაგრძობს თარხანი, თქვენ რომ ბრძანებთ დამაფასეო აბა როგორ დავაფასოთ: ფულით დაგა, ფასოთ, ფული ბევრი გაქვსთ; ოქროთი თვალით თუ მარგალიტით, ესენიც ბევრი გაქვთ და სახელი მეფისა გაქვთ, ღირსება და ანგარიში მაჰმადისა და ღვთის წინ ერთია! აი თქვენი ფასი ეს არის: როდესაც უძრავათ იწვებით შიგა და საუკუნოთ, საიქაოს ამის მეტს არას ფერს წაიღებთ!

ამნაირს დაფასებაზე შაჰი დაასაჩუქრებს იმას და გაისტუმრებს საქართველოში იმ დაპირებული ათასი კაცით.

ზუაში აი რას ნახავს კიდევ თარხანი:

მართს სპარსების სოფელში ერთს ახალგაზდა ქალს ქილაში ხელი ჩაუყვია და ვეღარ ამოვლო, ამის გამო იმ ქალსა ხელსა სჭრიდნენ. მს რომ თარხანმა გაიგო, მაშინვე მიბრუნდა იმ სოფელში და იმ ქალს ქოთანს ხელზე გადაატეხა და ამნაირათ დაისხნა მოჭრისაგან. ძალის მამამ აუარებელი ოქრო და ვერცხლი აჩუქა თარხანს და გამოისტუმრეს საქართველოში.

ამბობენ, რომ ეხლანდელი თარხანოვები იმ თარხანის ჩამომავალნი არიანო რადგანაც თარხანიყო ოფილა მეფისა, ხალხსაც ვვარათაც თარხანი დაურქმევია და ამილახვარი კი გაუუქმებიაო.

ზ. მთაწმინდელი.

რმანია არ გაერევა ამ ბრძოლაში.

ზემოხსენებულისავე გაზეთის კორესპონდენტი იწერება ვენილამ, რომ რუსეთი, უეჭველია მიიღებს მხედველობაში იმას, რომ ერთის მხრით გრაფ იგნატიევი ვერა გარიაგა-რა და მიორეს მხრით იმასაც, რომ ავსტრიას და ინგლისს შუასრული თანხმობა სუფევს აღმოსავლეთის საქმეების შესახებ, — და ამის გამო რუსეთი იძულებული შეიქნება, სულ თუ არა, მომეტებული ნაწილი მაინც ისე შესცვალოს სან-სტეფანოს მორიგების პირობისა, როგორც ინგლისი და ავსტრია თხოულობენ.

რუსულ გაზეთს „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია შემდეგი დეკრეტი 24 მარტს ბერლინიდან მიღებული:

„ვერმანიის მმართველობა ყოველ ლოდის-ძიებას ხმარობს, რომ რუსეთი და იმის მოწინააღმდეგენი — ავსტრია და ინგლისი მოარიგოს ერთმანეთში. ამისთვის ვერმანია ამ ქამად ხელ-ახლად ცდილობს, რომ კონგრესი შესდგეს.“

ბუშინდელს ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო ამბავი, რომ რუსეთის ელჩი გრაფ შუვლოვი ლონდონიდან პეტერბურღში დასაბრუნებლად ემზადებოდა. ღვევანელი ფოჩტით მოსულს გაზეთებში იწერებინან, რომ ინგლისის ელჩიც ლოჩტუსიც ბარგს ალაბებს და პეტერბურღიდან გასვლას აპირებსო.

კონგრესის

ინგლისურს გაზეთს „Post“-ში იწერებინან 20-ს მარტს პარიჯილამ:

„ნამდვილად ამბობენ, რომ რადგან რუსეთისაგან გაგზავნილმა იგნატიევიმ ავსტრიასთან ვერა გარიაგა-რაო, ამის გამო ახლა ის დათანხმდაო, რომ შეასრულოს ინგლისის მოთხოვნისა და

წარუდგინოს კონგრესს განსახილველად და დასამტკიცებლად სან-სტეფანოს მორიგების ყველა მუხლები.“

ამბობენ, რომ სანამ კონგრესი შესდგებოდეს, მანამ ვერმანიის იმპერატორს მიღწევლმს ექნება მინდობილი გადაწყვიტოს — თუ როგორ და რა დროს უნდა გაიყვანონ რუსებმა და ინგლისმა თავის ჯარები და ხომალდები სტამბოლის ახლო-მახლო ადგილებიდან და ზღვიდან.

ერთი ფრანკო-რუსული გაზეთი გვაცნობებს, რომ რუსეთსა და ავსტრიას შუამოლაპარაკება ჯერაცარ გათავებულა; ავსტრიის მოთხოვნისთვის თაობაზე გრაფი იგნატიევი თ. ბორჩაკოვთან მოსალაპარაკებლად წავიდა პეტერბურღშია და მალე ვენაში იბრუნდებ იქილამაო.

განცხადებანი

ისყიდება ყუთობით საუკეთესო მანქანი (წასატყუარ) ფაიტონების და სხვა პოვოზკის ბორბლებისათვის.

თითო ყუთი ღირს 50 კაპიკად. მსურველს შეუძლიან მიმართოს სარაჯევის ქარვასლაში ბარსეევან რატიონთან (3—2)

ახალი წიგნი

„სოლი თუ ვინდამ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდელო

ვასილი აბაშიძისა

ისყიდება: თფილისში — მართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

(5—4)

გამოვიდა და ისყიდება

„სოლი ვიტირო, თუ ვინდამ“

კომედია ალ. თუთუაშვილისა

ისყიდება: ქალაქში — ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს. ჯიმშეროვთან, თელავს — იოსებ ძუზმანაშვილთან, ქარელს — დავით შერაჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟაბუბის უჭეტში, სურამს — ზაქარია არუწოვთან, ქუთაისს — იაკობ მკანეზოვთან და სვ. ცერეძესთან ფოთში — მლისბარ ბაბლოვთან, ცხინვალს — თ. ივ. მატეაქოვთან, საქაშეთს — თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრის ხევს — მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორჯომი — სტ. ზომოცვთან და თვითონ ავტორთან.

აბრაშუმის ჰიის თესლი (კვერცხი)

იტალიის მოდემისა, სალი ისყიდება კავკასიის სამაჟრანო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ).

შასი თითო მისხლისა მძვნი შაური

მრთს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

ბარდაცემა ორი კვარტირა ძალიან იაფად, მორონტოვის ქუჩაზე, მტკერის ნაპირას; ერთი კვარტირა 7 ოთახიანი და მეორე 27 ოთახიანი, დიდის ეზოთი, სარაით და სხვა საოჯახო კუთვნილებით.

უფრო დაწვრილებით პირობების შეტყობა მორონტოვის წყლის-პირა ქუჩაზე, ნეიმანის სახლში, იკითხეთ ივანე ანტონის ძე ზემბერგი, ყოველ დღე 12 საათიდან 5-მდინ.

(3—3)

რპ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	მაზანდა	მან	კაპ	თფილისის სამაჟრანო
თფილისი	9 21	5 18			მცხეთის სიყუარველი	1	თფილისი, 1 მარტი.			მრეწვის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	- 68	- 38	ჭუთაისს, შოთს	1	შქე. თფი. ბანჯისა, უთ.	1 80		ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე,
ზორი	11 58	9 43	2 40	1 33	ზორს, ღუშეთს, სიღნაღს	50	შქეილი წითელი	1 50		კვირას გარდა, დღის 8—10 მდინ.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებას, მოსკოვს	2	მერი ფუთი	1 40		მ რ შ ა ბ ა თ ს: მინკევიჩი — ხორუ-
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, პარსევას	2	ბამბა მრეწვისა, ფუთი	7 50		რგი, ლისიცივი — შინაგ. ავთმყ.
მერილი	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შევიცარიში	3	— ამერიკისა, ფუთი	8 05		ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაჟენტილი ბამბა ფუთი.	10		მარქაროვი — შინაგ. ავთმყოფობის,
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფთ.	8 30		თამაშევი — თვალის.
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	ვოშბა		— მარაქამისა ფთ.	4 50		მ თ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი — ში-
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გა-		პბრეშუმი ნუბური სტ.	2		ნაგანი ავთმყოფ, ქიურჩიანცი — ვე-
შოთი	9 13				რეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე		ძონი, ფუთი	6 30		ნერიულის.
ახ.-სენაკი	—		1 18	- 66	კვირას გარდა. ზუგდი. ორშ. და სამშ.		ძონის სანთელი ფუთი.	8		ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინა-
სამტრედია	11 16		2 61	1 14	მზურ. — პარასკ. და ორშ. ძახეთს —		სტეარინის სანთელი, ფ.	13 40		განი ავთმყოფობისათვის.
რიონი	12 13		3 41	1 69	სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	1 8		პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და ასა-
მერილი	1 18	ლაშე	3 98	2 21	თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ		— ცხვრისა, ლიტაო	1 8		ტუროვი — შინაგ. ავთმყოფ. და მინ-
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	დღე, კვირას გარდა. მზურგეთს —		სპირტი, ვედრო	5 20		კევიჩი — ხორტგ.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	ორშ. და პარასკ.		შაქარი, ბროც. ფუთი	8 20		შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარქ-
ზორი	7 5	4 87	3 64	9	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	— ფხვნილი ფუთი	6 50		როვი — შინაგანი ავთმყოფობის, ქუ-
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4	და სამზღვარ გარეთ:		შავა გრგვოლი, გირვ.	— 70		ქიურჩიანცი — ყურის და ხორტგეულ
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	ლია წიგნის	4	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12		ავთმყოფ. და თამაშევი — თვალის.
					დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	თამაშევი, საშუალო ფუთი	8 55		